ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“
შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“
პარტნიორთა საერთო კრების 2022 წლის 21
ივლისის სხდომის №01-03/01 ოქმის №9 დანართი

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის პერსონალის ეთიკის კოდექსი

2022

სარჩევი

მუხლი 1. რეგულირების სფერო 1

მუხლი 2. უნივერსიტეტის პერსონალის ეთიკური ღირებულებები 1

მუხლი 3. აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის ეთიკური ღირებულებები სასწავლო პროცესის განხორციელებისას 3

მუხლი 4. რეაგირება ეთიკის კოდექსის დარღვევაზე 4

მუხლი 5. ეთიკის კომისია 5

მუხლი 6. კომისიის განმარტებები და რეკომენდაციები 6

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები 6

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე კოდექსი ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ (შემდეგში “ავიცენა” ან “უნივერსიტეტი”) პერსონალის ეთიკურ ღირებულებებს, აწესრიგებს ადმინისტრაციული, აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის მიერ უნივერსიტეტში შესაბამისი თანამდებობაზე საქმიანობის, კომუნიკაციისა და კორპორატიული იმიჯის დაცვის ეთიკურ საკითხებს, განსაზღრავს ეთიკასთან შეუსაბამო ქცევის შემთხვევებსა და ეთიკური ნორმების დარღვევის აღმოფხვრის და დარღვევებზე რეაგირების პროცედურებს.

1.2. კოდექსის მიზანია უნივერსიტეტის პერსონალის საქმიანობაში უნივერსიტეტის ღირებულებების წარმოჩენა, ქცევის მაღალი ეთიკური სტანდარტების დამკვიდრება, ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა და შენარჩუნება.

1.3. კოდექსის დებულებები გამომდინარეობს და შეესაბამება უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილ საქმიანობის ორგანიზების წესებსა და პრინციპებს, და კოდექსის ნორმების დაცვა სავალდებულოა უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალისათვის.

1.4. კოდექსის მოთხოვნათა შეუსრულებლობა იწვევს ამ კოდექსით და უნივერსიტეტის შინაგანაწესით განსაზღვრულ დისციპლინარულ პასუხისმგებლობას.

1.5. უნივერსიტეტის სტუდენტების ქცევის ეთიკური პრინციპები, სტუდენტური ეთიკის რეგულირების წესები და დარღვევაზე რეაგირების პროცედურები განისაზღვრება სტუდენტური ეთიკისა კოდექსით და შინაგანაწესით.

1.6. სამეცნიერო კვლევის ეთიკასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება კვლევის ეთიკის კოდექსით.

მუხლი 2. უნივერსიტეტის პერსონალის ეთიკური ღირებულებები

2.1. უნივერსიტეტის პერსონალის უნივერსალური ეთიკური ღირებულებებია:

ა) კეთილსინდისიერება - საკუთარი საქმიანობის დასახული ორგანიზაციული მიზნების შესაბამისად განხორციელება, შესატყვისი დროის, რესურსის, ყურადღებისა და გულისხმიერების გამოყენებით.

ბ) ინფორმირებულობა - საქმიანობის ჯეროვნად შესრულებისთვის აუცილებელი შიდა თუ გარე ინფორმაციის ფლობა, გაგება, და ობიექტურად ინტერპრეტირება.

გ) პროფესიონალიზმი - საკუთარ საქმიანობაში პროფესიული სტანდარტის, ან მისი არარსებობის შემთხვევაში, თანამდებობრივი მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულება, ხოლო შეუძლებლობის შემთხვევაში - ხელმძღვანელის ინფორმირების უნარი აღნიშნულთან დაკავშირებით.

დ) გუნდურობა - ამოცანის შესრულებაში კოლეგებთან, ზემდგომ და ქვემდგომ სტრუქტურულ ერთეულებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი, საქმიანობის განხორციელებისა და დავალების შესრულების პროცესში ზემდგომ და ქვემდგომ სტრუქტურულ ერთეულებთან ეფექტური კომუნიკაცია, კოორდინირება, ინტეგრირებული ძალისხმევა.

ე) კოლეგიალობა - საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების და სხვების მოსაზრებების მოსმენის, პატივისცემისა და გათვალისწინების მზაობა და უნარი, ხოლო მისი არგათვალისწინების შემთხვევაში - პროფესიული კორექტულობის ფორმის დაცვა, სამსახურებრივი პოზიციის გამოყენებით ზეწოლის დაუშვებლობა.

ვ) ანგარიშვალდებულება - განხორციელებული საქმიანობისა და შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციის მიწოდება სამსახურებრივი დაქვემდებარების ფარგლებში.

ზ) აკადემიური თავისუფლების პატივისცემა - კანონმდებლობით აღიარებული სწავლებაში, სწავლაში და სამეცნიერო კვლევაში სტუდენტის, აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის აღიარება, მხარდაჭერა და პატივისცემა მასში ჩარევის, ან მასზე ზემოქმედების გარეშე.

თ) საზოგადოებრივი ინტერესების აღიარება - უნივერსიტეტის, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის როლისა და მისი მნიშვნელობის გაცნობიერება, საკუთარ საქმიანობაში უნივერსიტეტის საზოგადოებრივი მნიშვნელობის როლის გათავისება.

ი) ნეიტრალიტეტი - უნივერსიტეტის საქმიანობის პროცესში პოლიტიკური პროპაგანდის, რელიგიური პროზელიტიზმის, ინდივიდუალური ფილოსოფიური მრწამსის სხვა პირებზე თავის მოხვევისგან თავის შეკავება;

კ) სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების აღიარება - სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განუხრელი დაცვა, საკითხის შეფასებისა და გადაწყვეტისას სტუდენტთა ინტერესების უპირატესობის აღიარება და შესაძლო გადაწყვეტილებების სტუდენტების საუკეთესო ინტერესების ჭრილში შეფასება.

ლ) სტუდენტთა მიმართ თანასწორი მიდგომა - სტუდენტების განსხვავების დაუშვებლობა მათი ნებისმიერი ნიშნის, მათ შორის აკადემიური მოსწრების, გათვალისწინებით, თუ აღნიშნული განსხვავების აუცილებლობა არ არის დადგენილი კანონმდებლობასთან შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციებით.

მ) ადამიანის უნივერსალურ უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემა - დემოკრატიულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ღირებულებებით მოქმედება, ინდივიდის უნივერსალური უფლებების პრიმატის აღიარება საკუთარ საქმიანობაში.

ნ) შევიწროების დაუშვებლობა - ნებისმიერი კოლეგის, სტუდენტის, ან მესამე პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისი ღირსების შელახვას, დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

ო) სხვების სამუშაოს პატივისცემა - კოლეგების მიერ სამუშაოს შესრულების ხელშეშლის ან მისი შეფერხების დაუშვებლობა, შესაძლებელი დახმარებისა და მხარდაჭერის გაწევის ვალდებულება, სხვისი სამუშაოს შედეგების, როგორც საკუთარის, წარმოჩენის დაუშვებლობა.

პ) ორგანიზაციის რეპუტაციაზე ზრუნვის პრინციპი - უნივერსიტეტის მისიის, ხედვის და საკვანძო ღირებულებების გაზიარების, და მათ შესაბამისად მოქმედების ვალდებულება, საკუთარი მოქმედებებითა თუ გამოთქმული მოსაზრებებით ორგანიზაციისთვის, მასში

დასაქმებული პირისთვის ან მისი სტუდენტისთვის რეპუტაციული ზიანის მიყენების დაუშვებლობა.

ჟ) ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა - საკუთარი თანამდებობრივი პოზიციის, არსებული ინფორმაციის ან სხვა საშუალების გამოყენება უნივერსიტეტისთვის, მასში დასაქმებული პირისთვის ან მისი სტუდენტისთვის საზიანოდ, ან მათი თანხმობის გარეშე - საკუთარი ან სხვა პირის გამორჩენის მიზნით.

რ) კონფიდენციალური ინფორმაციის პატივისცემა და დაცვა - პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის, სხვა პირთა ინტელექტუალური საკუთრების უფლების ობიექტის თუ უნივერსიტეტის კომერციული საიდუმლოების განზრახ თუ გაუფრთხილებლობით არაუფლებამოსილი პირებისთვის გამჟღავნების ან გამჟღავნების რისკის შექმნის დაუშვებლობა.

ს) უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს პატივისცემა - სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების, ჰიგიენისა და შრომის დაცვის ჩვეული წესების აღიარება და დაცვა.

ტ) აკადემიური იერსახის და იმიჯის პატივისცემა - თანამშრომლის მიერ ჩაცმულობის, კომუნიკაციის მანერის და სხვა გამოხატულებების შესაბამისობა აკადემიურ საზოგადოებაში შესატყვის სტანდარტებთან.

უ) გარემოზე ზრუნვა - საკუთარ საქმიანობაში გარემოსდაცვითი საკითხების შეძლებისდაგვარად გაცნობიერება, რესურსებით ოპტიმალური სარგებლობა, გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებისკენ სწრაფვა.

მუხლი 3. აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის ეთიკური ღირებულებები სასწავლო პროცესის განხორციელებისას

3.1. უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალი, სასწავლო პროცესის განხორციელებაში, ამ კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ღირებულებების გარდა, უნდა აღიარებდნენ შემდეგ დამატებით ღირებულებებს:

ა) აკადემიური რელევანტურობა - გადმოცემული იდეების, შეხედულებებისა და თეორიების შესაბამისობა მეცნიერების განვითარების არსებულ კონტექსტთან, ხოლო მოცემულ საკითხზე თეორიათა სიმრავლის შემთხვევაში - მათ ამომწურავი გადმოცემა, საკუთარი შეხედულების პრიორიტეტის დემონსტრირების გარეშე.

ბ) იდეათა პლურალიზმის პრინციპის აღიარება - სტუდენტის დასაბუთებული უარის პატივისცემის ვალდებულება, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ მიწოდებული იდეების გაზიარება.

გ) ფავორიტიზმის დაუშვებლობა - სტუდენტების ნებისმიერი, მათ შორის სასწავლო პროცესში ჩართვის, აკადემიური მოსწრების, ქცევის, გამოხატულებების და სხვა ნიშნით გამორჩევის დაუშვებლობა, თავად სტუდენტთან, ჯგუფთან, კოლეგებთან თუ საუნივერსიტეტო საზოგადოების ნებისმიერ წევრთან.

დ) ორგანიზაციის პატივისცემა - სტუდენტებთან, კოლეგებთან, საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრებთან თუ სხვა პირებთან უნივერსიტეტის, მისი პერსონალის და

სტუდენტების პოზიტიური თუ ნეგატიური შედარების დაუშვებლობა სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის წევრებთან და პირიქით.

ე) კომუნიკაციის პროფესიული ფარგლების დაცვა - სტუდენტებთან კომუნიკაციის - ხელმძღვანელი/ხელქვეითის, კოლეგიურ, აკადემიური გარემოსთვის შესაბამის ფორმატში განხორციელება.

ვ) ობიექტურობის შენარჩუნება - ნებისმიერი ფაქტორის გამორიცხვა, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს სტუდენტის მიღწევის ობიექტურ შეფასებაზე

ზ) კვლევის პატიოსნების უნივერსალური წესების დაცვა - ავტორობის აღიარების, ციტირების წესის, სათანადო კვლევითი მეთოდებისა მონაცემების დამუშავებისა და ინფორმაციის წარმოდგენის სათანადო წესების გამოყენება საკუთარ კვლევით საქმიანობაში.

თ) პაციენტის უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დაცვა - სასწავლო პროცესის ფარგლებში პაციენტთან შეხებაში მყოფი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ პაციენტთა კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების, მათ შორის ინფორმირებული თანხმობის, პაციენტის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედების, უსაფრთხოების, პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპების განუხრელი დაცვა და სტუდენტების მიერ აღნიშნული ვალდებულებების დაცვის მეთვალყურეობა.

მუხლი 4. რეაგირება ეთიკის კოდექსის დარღვევაზე

4.1. ეთიკის კოდექსის სავარაუდო დარღვევაზე რეაგირების ინიციატორს წარმოადგენს რექტორის მოადგილის ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულებით დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურული ერთეული.

4.2. ეთიკის კოდექსის დარღვევის საკითხის შესწავლა ხდება:

ა) ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურში და/ან იურიდიულ სამსახურში, არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;

ბ) რექტორის სახელზე შემოსული განცხადების საფუძველზე;

4.3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განცხადების შემოტანის უფლება აქვს ნებისმიერ პირს.

4.4. რექტორის მოადგილე ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულებით სავარაუდო დარღვევის ამ კოდექსის ნორმებთან შესაბამისობის პირველადი შეფასების შემდეგ შუამდგომლობს უნივერსიტეტის რექტორის წინაშე დარღვევაზე რეაგირების მიზნით დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების შესახებ.

4.5. წინამდებარე ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ეთიკური ღირებულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ზომები განისაზღვრება უნივერსიტეტის შინაგანაწესით.

4.6. უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება გადაცდომაზე რეაგირებასთან დაკავშირებით, ან საკითხის სირთულიდან გამომდინარე, გადასცეს აღნიშნული საკითხის შესწავლა ეთიკის კომისიას.

მუხლი 5. ეთიკის კომისია

5.1. ეთიკის კომისია იქმნება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული ეთიკური ღირებულებების გადაცდომის საკითხის შესწავლისა და დამრღვევი პირის მიერ დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის შერჩევის მიზნით.

5.2. იმ შემთხვევებში, როდესაც გადაცდომა შეეხება საგანმანათლებლო და კვლევით პროცესს, უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია კომისიის წევრების შერჩევის შუამდგომლობით მიმართოს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

5.3. კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 წევრისგან, რომლებსაც უნდა გააჩნდეთ შესაბამისი საკითხის მრავალმხრივი შეფასების კომპეტენცია.

5.4. კომისიის წევრები ვალდებულნი არიან გამორიცხონ ინტერესთა კონფლიქტი როგორც დისციპლინარულ წარმოებას დაქვემდებარებული პირის მიმართ, ასევე იმ პირის მიმართ, რომლის მიმართ განხორციელდა ეთიკური ქცევის ნორმის დარღვევა.

5.5. ინტერესთა კონფლიქტი განიმარტება, როგორც საკითხის შესწავლაში მონაწილე პირებს შორის ნათესაური, სოციალური ან ეკონომიკური კავშირი, აგრეთვე, სხვა გარემოება, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს კომისიის წევრის მიუკერძოებლობაზე პოზიტიური თუ ნეგატიური კუთხით.

5.6. ეთიკის კომისია უფლებამოსილია:

ა) მოუსმინოს ორივე მხარეს;

ბ) შეაფასოს არსებული მტკიცებულებები;

გ) მოიპოვოს და გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია;

დ) ეთიკური ნორმების დარღვევით დაზარალებული მხარის თანხმობით, მოისმინოს სხვა პირთა (მოწმეთა) განმარტებები.

5.7. პირი, რომლის მიმართ მიმდინარეობს დისციპლინარული წარმოება, უფლებამოსილია დაიცვას თავისი ინტერესები პირადად, ან მის მიერ არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით.

5.8. კომისიის გადაწყვეტილება ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის წესის დარღვევაზე და დისციპლინარული გადაცდომის დაკისრების მიზანშეწონილობაზე უნდა ემყარებოდეს სანდო და ვალიდურ მტკიცებულებებს.

5.9. კომისიის გადაწყვეტილება ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის წესის დარღვევაზე და დისციპლინარული გადაცდომის დაკისრების მიზანშეწონილობაზე, მიღებული უნდა იყოს ერთხმად.

5.10. კომისიის გადაწყვეტილება წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.

5.11. პირი უფლებამოსილია გაასაჩივროს დაკისრებული დისციპლინარული სახდელი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. კომისიის განმარტებები და რეკომენდაციები

6.1. ეთიკის კომისია, საკითხის შეფასებასთან ერთად უფლებამოსილია შეიმუშავოს ამ კოდექსით განსაზღვრული ეთიკური ვალდებულების განმარტება, რომელიც ამომწურავად ადგენს ეთიკური და არაეთიკური ქცევის ფარგლებს, კონკრეტულ ეთიკურ ღირებულებებთან მიმართებაში, ასევე რეკომენდაციები ამ კოდექსით დადგენილი ეთიკური ღირებულებებიდან გამომდინარე ქცევის მაგალითების შესახებ.

6.2. ეთიკის კომისიის განმარტებები და რეკომენდაციები, განზოგადოებული სახით (დამრღვევი, მონაწილე ან დაზარალებული პირების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე) შესაძლებელია მიეწოდოს საუნივერსიტეტო საზოგადოების სხვა წევრებს. გადაწყვეტილებას ეთიკის კომისიის განმარტებების და რეკომენდაციების გასაჯაროების თაობაზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

6.3. კომისიის განმარტებები და რეკომენდაციები დაერთვის წინამდებარე ეთიკის კოდექსს.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, კოდექსის პირველი რედაქცია მიღებულია და დამტკიცებულია უნივერსიტეტის პარტნიორთა კრების მიერ.

7.2. კოდექსი ძალაში შედის პარტნიორთა კრების მიერ მის დამტკიცებისთანავე.

7.3. კოდექსის მოდიფიცირებული რედაქციის, მასში ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის რექტორი.

7.4. კოდექსის ცვლილებები და დამატებები ძალაში შედის უნივერსიტეტის რექტორის მიერ მისი დამტკიცებისთანავე, თუ რექტორის ბრძანებით არ იქნება განსაზღვრული ცვლილების ძალაში შესვლის განსხვავებული სამომავლო თარიღი.